



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

გამოცდების ჩატარების წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 14/09/2016წ. - გადაწყვეტილება №4 (დანართი №4)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური _____

შეამოწმა: ხარისხის მთლიანი მართვის საბჭო _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.R3.I1G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი:
26/12/2022

დამტკიცების თარიღი:
14/09/2016

შეუმოწმებელი ვერსია შემოწმებული ვერსია

იბსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები.....	4
ცვლილებების ნუსხა.....	5
თავი I. ზოგადი დებულებები.....	8
მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები.....	8
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები	8
მუხლი 3. საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო	8
მუხლი 4. (ამოღებულია).....	9
მუხლი 5. გამოცდის მონიტორინგი.....	9
თავი II. წერიტი გამოცდის ორგანიზება და წარმართვა.....	10
მუხლი 6. გამოცდების განრიგი.....	10
მუხლი 7. საგამოცდო საკითხების მომზადება.....	11
მუხლი 8. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობა.....	12
მუხლი 9. გამოცდის მიმართ მოქმედი წესები.....	12
მუხლი 10. აღდგენით გამოცდაზე გასვლა.....	14
მუხლი 11. საგამოცდო ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში შეყვანა.....	15
მუხლი 12. გამოცდების შედეგების გასაჩივრება	15
მუხლი 13. საგამოცდო მასალების დაარქივება.....	16
თავი III. ზეპირი გამოცდის ორგანიზება და წარმართვა	17
მუხლი 14. ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზება	17
მუხლი 15. ზეპირი გამოცდის წარმართვა.....	17
მუხლი 16. აღდგენით გამოცდაზე გასვლა.....	17
მუხლი 17. ზეპირი გამოცდის ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში	18
მუხლი 18. ზეპირი გამოცდის შედეგის დაარქივება	18
მუხლი 19. დასკვნითი დებულებები	18
მუხლი 20. ძალაში შესვლა	19

მუხლი 21. შესრულებაზე ზედამხედველობა.....19

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	09	24.08.2017
2.	აკადემიური საბჭო	10	11.06.2018
3.	აკადემიური საბჭო	3	08.02.2019
4.	აკადემიური საბჭო	12	20.08.2019
5.	აკადემიური საბჭო	21	19.11.2020
6.	აკადემიური საბჭო	01	03.02.2021
7.	მმართველი საბჭო ¹	01	01.11.2021
8.	მმართველი საბჭო	12	14.03.2022
9.	მმართველი საბჭო	23	13.06.2022
10.	მმართველი საბჭო	25	04.07.2022
11.	მმართველი საბჭო	39	26.12.2022

თავდაპირველი რედაქცია: 14.09.2016

¹ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, 01 ნოემბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	24.08.2017	2	ანგარიშვალდებულება
02	24.08.2017	3	ამოღებულია
03	24.08.2017	8	საგამოცდო პროცესის მიმდინარეობა
04	24.08.2017	13	საგამოცდო მასალების დაარქივება
05	24.08.2017	21	შესრულებაზე ზედამხედველობა
06	11.06.2018	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
07	08.02.2019	6	გამოცდების განრიგი
08	08.02.2019	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები
09	08.02.2019	12	გამოცდების შედეგების გასაჩივრება
10	20.08.2019	2	ტერმინთა განმარტებები
11	20.08.2019	3	საგამოცდო ცენტრის მიზნები და ფუნქციები
12	20.08.2019	5	გამოცდის მეთვალყურეები
13	20.08.2019	6	გამოცდების განრიგი
14	20.08.2019	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
15	20.08.2019	8	საგამოცდო პროცესის მიმდინარეობა
16	20.08.2019	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები
17	20.08.2019	10	აღდგენით გამოცდაზე გასვლა
18	20.08.2019	12	გამოცდების შედეგების გასაჩივრება
19	20.08.2019	15	ზეპირი გამოცდის წარმართვა
20	20.08.2019	16	აღდგენით გამოცდაზე გასვლა
21	20.08.2019	21	შესრულებაზე ხედამხედველობა
22	19.11.2020	2	ტერმინთა განმარტებები
23	19.11.2020	3	საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

24	19.11.2020	4	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელობა
25	19.11.2020	5	გამოცდის მეთვალყურეები
26	19.11.2020	5	გამოცდის მეთვალყურეები
27	19.11.2020	6	გამოცდების განრიგი
28	19.11.2020	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
29	19.11.2020	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
30	19.11.2020	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
31	19.11.2020	8	საგამოცდო პროცესის მიმდინარეობა
32	19.11.2020	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები
33	19.11.2020	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები
34	19.11.2020	11	საგამოცდო ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში შეყვანა
35	19.11.2020	11	საგამოცდო ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში შეყვანა
36	19.11.2020	13	საგამოცდო მასალების დაარქივება
37	19.11.2020	14	ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზება
38	03.02.2021	21	შესრულებაზე ზედამხედველობა
39	01.11.2021	3	საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო
40	01.11.2021	19	დასკვნითი დებულებები
41	14.03.2022	2	ტერმინთა განმარტებები
42	14.03.2022	12	გამოცდების შედეგების გასაჩივრება
43	13.06.2022	5	გამოცდის მონიტორინგი
44	04.07.2022	6	გამოცდების განრიგი
45	04.07.2022	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
46	04.07.2022	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები

47	04.07.2022	13	საგამოცდო მასალების დაარქივება
48	26.12.2022	1	მოქმედების სფერო და ფარგლები
49	26.12.2022	3	საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო
50	26.12.2022	5	გამოცდის მონიტორინგი
51	26.12.2022	6	გამოცდების განრგი
52	26.12.2022	7	საგამოცდო საკითხების მომზადება
53	26.12.2022	9	გამოცდის მიმართ მოქმედი წესები
54	26.12.2022	14	ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზება
55	26.12.2022	15	ზეპირი გამოცდის წარმართვა
56	26.12.2022	16	აღდგენით გამოსვლაზე გასვლა
57	26.12.2022	21	შესრულებაზე ზედამხედველობა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

- 1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - „იბსუ“) გამოცდების ჩატარების წესს და პროცედურას.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1 (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

- 2.2 **სკოლა** - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

- 2.3 **გამოცდა** - შუალედური/შუალედური აღდენითი გამოცდა, დასკვნითი/დასკვნითი აღდგენითი გამოცდა, დამატებითი გამოცდა;

- 2.4 (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

მუხლი 3. საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

- 3.1 საგამოცდო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული არის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

- 3.2 სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საგამოცდო პროცესის განხორციელების ნაწილში:

- 3.2.1 შეიმუშავებს გამოცდების ჩატარების პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტებს და წარუდგენს მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1

- 3.2.2 ახორციელებს სწავლების პირველ საფეხურზე და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წერითი გამოცდების ორგანიზება - ჩატარებას, აგრეთვე ზეპირი გამოცდების ორგანიზებას;

3.2.3 საგამოცდო პროცესის სრულყოფილი წარმართვის მიზნით თანამშრომლობს სკოლებთან.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

მუხლი 4. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

მუხლი 5. გამოცდის მონიტორინგი

- 5.1. გამოცდის ორგანიზებულად წარმართვისათვის საგამოცდო პროცესს ესწრება ლექტორი, გამონაკლის შემთხვევაში კი აგრეთვე შესაძლებელია მეთვალყურის დახმარება.
- 5.2. მეთვალყურე შეიძლება იყოს იბსუ-ს ადმინისტრაციული თანამშრომელი და/ან იბსუ-ს მიერ, ამ მიზნით მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი პირი.
- 5.3. მეთვალყურე ექვემდებარება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და ანგარიშვალდებულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წინაშე.
- 5.4. ლექტორის (არსებობის შემთხვევაში მეთვალყურის) მოვალეობა არის გამოცდისათვის აუდიტორიის მომზადება, საგამოცდო პროცესის გამართულად და ობიექტურად წარმართვის უზრუნველყოფა.
- 5.5. გამოცდის ჩატარების შესახებ ანგარიშს ლექტორი/მეთვალყურე წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით - ოქმი #23.*

თავი II. წერიტი გამოცდის ორგანიზება და წარმართვა

მუხლი 6. გამოცდების განრიგი

- 6.1. გამოცდების განრიგს ამზადებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.
- 6.2. შუალედური და დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, გამოცდების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე სულ მცირე 7 კალენდარული დღით ადრე. შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (SIS).
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით - ოქმი #25
- 6.3. აღდგენითი შუალედური/დასკვნითი გამოცდისა განრიგის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე 2 სამუშაო დღით ადრე.
- 6.4. დამატებითი გამოცდის განრიგი გამოცხადდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 1 სამუშაო დღეში.
- 6.4¹. წინამდებარე წესის 6.2, 6.3 და 6.4 პუნქტებში მოცემული გამოცდების ჩატარების ადგილის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ ელექტრონული საინფორმაციო სისტემის საშუალებით, გამოცდის ჩატარებამდე სულ მცირე 15 წუთით ადრე.
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.
- 6.5. გამოცდები ტარდება ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. სკოლის საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს კვირა დღესაც.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39
- 6.6. თუ გამოცდის გადატანა მოხდა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, სტუდენტს უნდა ეცნობოს გამოცდის თარიღამდე მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 7. საგამოცდო საკითხების მომზადება

7.1. საგამოცდო საკითხებს ამზადებს კომპონენტის განმახორციელებელი პირი (ლექტორი).

7.2. თუ ერთსა და იმავე კომპონენტში გამოცდა სხვადასხვა დროს ტარდება, ასევე თუ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა აღმატება 20 სტუდენტს, გადაწერის თავიდან აცილების მიზნით, საგამოცდო საკითხები ჯგუფებისათვის უნდა იყოს განსხვავებული.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

7.3. თუ ლექტორი თავად ვერ ახერხებს გამოცდაზე დასწრებას, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს ვალდებულია, გამოცდამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მიაწოდოს საგამოცდო ფურცელზე შედგენილი საგამოცდო საკითხები ელექტრონული ფორმით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით - ოქმი #25

7.4. საგამოცდო დასწრების ფურცელს ლექტორი აგზავნის საგამოცდო საკითხებთან ერთად სკოლის მიერ განსაზღვრულ პირთან ან თვითონ მიაქვს გამოცდაზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

7.5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მენეჯერი აგროვებს საგამოცდო საკითხებს.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

7.6. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

7.7 გამოცდა ტარდება შემდეგი განრიგის მიხედვით:

7.7.1 შუალედური გამოცდა - მე-8 და მე-9 კვირაში;

7.7.2 აღდგენითი შუალედური გამოცდა - მე-11 კვირაში;

7.7.3 დასკვნითი გამოცდა - დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრულ პერიოდში;

7.7.4 დამატებითი გამოცდა - დამატებითი გამოცდისათვის განსაზღვრულ პერიოდში;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით - ოქმი #25

მუხლი 8. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობა

- 8.1. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება კომპონენტის განმახორციელებელი პირის (ლექტორის) უშუალო ხელმძღვანელობით.
- 8.2. საგამოცდო პროცესს ზედამხედველობს ლექტორი და/ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მეთვალყურე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

- 8.3. საგამოცდო დრო არის მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 120 წუთი თითო სასწავლო კომპონენტისათვის. დამატებითი დროის განსაზღვრა წარმოადგენს სკოლის პრეროგატივას.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

მუხლი 9. გამოცდის მიმართ მოქმედი წესები

გამოცდის დაწყებამდე:

- 9.1. სტუდენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ოთახში გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე 5 წუთით ადრე;
- 9.2. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს, მას შესაძლებლობა მიეცემა დაწეროს გამოცდა, თუ ამ დროის განმავლობაში სხვა არცერთ სტუდენტს არ დაუტოვებია საგამოცდო ოთახი;
- 9.3. სტუდენტების მობილური ტელეფონები, ჩანთები და სხვა საგნები უნდა განთავსდეს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
- 9.4. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით - ოქმი #25

- 9.5. მეთვალყურემ უნდა შეამოწმოს “საგამოცდო დასწრების ფურცელი”;
- 9.6. გამოცდაზე დამსწრე ყველა სტუდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს ”საგამოცდო დასწრების ფურცელს”.
- 9.7. გამოცდის მსვლელობისას:

- 9.8. სტუდენტი აღარ დაიშვება საგამოცდო აუდიტორიაში გამოცდის დაწყების შემდგომ, თუ მის მოსვლამდე თუნდაც ერთმა სტუდენტმა დატოვა საგამოცდო აუდიტორია;
- 9.9. დისციპლინის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მეთვალყურე უფლებამოსილია გამოცდის დაწყებამდე და/ან მის მსვლელობისას შეცვალოს სტუდენტთა განლაგება აუდიტორიაში;
- 9.10. სტუდენტმა მკაცრად უნდა დაიცვას გადაწერის, საუბრის, ურთიერთდახმარების, ტექნიკის გამოყენების აკრძალვასთან და სხვა აკრძალვებთან დაკავშირებული წესები;
- 9.11. გამოცდის დაწყების შემდეგ ყოველგვარი საუბარი სტუდენტსა და ლექტორს/მეთვალყურეს შორის, აგრეთვე სტუდენტებს შორის აკრძალულია. ამასთან, თუ სახეზეა ტექნიკური პრობლემა, რაც აფერხებს სტუდენტის საგამოცდო პროცესს, ლექტორი /მეთვალყურე უფლებამოსილია დაეხმაროს მას, ხოლო შემდეგ აღნიშნული ასახოს შესაბამის ანგარიშში;
- 9.12. სტუდენტებს ეკრძალებათ ერთმანეთისათვის კალმის, საშლელის ან სხვა ნებისმიერი საკანცელარიო ნივთის გადაცემა ლექტორის/მეთვალყურის თანხმობის გარეშე;
- 9.13. სტუდენტები არ არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ ნებისმიერი სახის ტექნიკა ლექტორის/მეთვალყურის თანხმობის გარეშე;
- 9.14. ლექტორმა/მეთვალყურემ უნდა უზრუნველყონ გამოცდის მსვლელობის პროცესში დისციპლინის დაცვა;
- 9.15. თუ გამოცდის დასრულებისას დარჩა ორი სტუდენტი, ისინი უნდა დაელოდონ ერთმანეთს;
- 9.16. სტუდენტები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი დამატებითი დროით;
- 9.17. სტუდენტი, რომელიც დატოვებს აუდიტორიას გამოცდის მსვლელობისას შეუძლოდ ყოფნის მიზეზით, თან უნდა გაჰყვეს მეთვალყურე. თუ სტუდენტი იგრძნობს თავს უკეთესად, მას მიეცემა საშუალება გააგრძელოს გამოცდა. თუ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სტუდენტი ვეღარ დაუბრუნდება გამოცდას, სამედიცინო ცნობის საფუძველზე მას მიეცემა უფლება ჩააბაროს აღდგენითი გამოცდა;
- 9.18. გამოცდაზე შესაძლებელია მხოლოდ ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნივთების გამოყენება.

- 9.19. გამოცდის წესების დარღვევა:
- 9.20. თუ სტუდენტი დაარღვევს გამოცდის ნებისმიერ წესს (მათ შორის გადაწერის მცდელობა/გადაწერა, გადაწერაში სხვისთვის დახმარების გაწევა, სხვა სტუდენტთან საუბარი ნებისმიერ თემაზე და ა.შ) სტუდენტის ნამუშევარი ნულდება და მის მიმართ ამოქმედდება „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი“ (R07).
- 9.21. თუ გამოცდის შედეგების შემოწმებისას (გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში) ლექტორს წარმოეშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სტუდენტმა გადაიწერა, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ლექტორი უფლებამოსილია თავიდან მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდის ჩაბარება, წერილობით ან ზეპირად. თუ სტუდენტი ვერ დაადასტურებს ცოდნას, მისი საგამოცდო ნამუშევარი ნულდება და მის მიმართ ამოქმედდება „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი“ (R07).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

- 9.22. გამოცდის დასრულების შემდეგ:
- 9.23. მეთვალყურე/ლექტორმა უნდა შეავსონ ოფიციალური ფორმა გამოცდის მსვლელობის შესახებ და ჩააბარონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

- 9.24. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წარუდგენს ოქმს სკოლის საბჭოს განსახილველად.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

მუხლი 10. აღდგენით გამოცდაზე გასვლა

- 10.1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს შუალედურ აღდგენით გამოცდაზე სემესტრის მე-11 კვირაში, ხოლო დასკვნით აღდგენით გამოცდაზე დასკვნითი გამოცდიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

- 10.2. სტუდენტი ვალდებულია გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზის არსებობა აცნობოს სკოლას შუალედური გამოცდის თარიღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი გამოცდის თარიღიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში, დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის გზით გაცდენის მიზეზის/ ხასიათიდან გამომდინარე, საპატიო მიზეზის არსებობა დგინდება სამედიცინო, სამართლებრივი ან სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს სკოლის საბჭო „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ R3 - განსაზღვრული საფუძველების შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

მუხლი 11. საგამოცდო ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში შეყვანა

- 11.1. ლექტორი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში წაილოს ნაშრომები სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

- 11.2. სტუდენტთან უკუკავშირის დამყარების მიზნით, სტუდენტს გააცნოს შუალედური შეფასებები და მასთან ერთად განიხილოს ნამუშევარი.

- 11.3. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, სტუდენტს გააცნოს დასკვნით/დამატებით გამოცდაში მიღებული ქულა და მასთან ერთად განიხილოს შესაბამისი საგამოცდო ნამუშევარი.

- 11.4. არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა შეიყვანოს სისტემაში სტუდენტების ქულები, ხოლო 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის არქივს ჩააბაროს ნამუშევრები

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.

მუხლი 12. გამოცდების შედეგების გასაჩივრება

- 12.1. გამოცდების შედეგების გასაჩივრება ხდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ით (R03) დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

მუხლი 13. საგამოცდო მასალების დაარქივება

- 13.1. საგამოცდო მასალების დაარქივება ხორციელდება „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ (R24I01) მიხედვით.”

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით - ოქმი #25

თავი III. ზეპირი გამოცდის ორგანიზება და წარმართვა

მუხლი 14. ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზება

- 14.1 ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს სკოლა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან კოორდინირებით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #21.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

- 14.2 ზეპირი გამოცდის ჩატარების მიზნებისათვის, საგამოცდო პროცესის ორგანიზება ხორციელდება წინადადებარე დებულების მე-6 და მე-7 (გარდა 7.5 და 7.6 პუნქტებისა) მუხლების მიხედვით.

მუხლი 15. ზეპირი გამოცდის წარმართვა

- 15.1. ზეპირი გამოცდა ტარდება ლექტორის ან კომისიის მიერ (ლექტორის მოთხოვნის საფუძველზე).

- 15.2. კომისიის მიერ ზეპირი გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, გამოცდა ტარდება შემდეგი პროცედურების დაცვით;

- 15.2.1 სკოლის საბჭო ქმნის კომისიას სამი წევრის შემადგენლობით. კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორისა და ავტორიზებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორებისაგან, რომლებსაც აქვთ აკადემიური ხარისხის იმავე/მსგავს დარგში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

- 15.2.2 ზეპირი გამოცდა ტარდება კომპონენტის განხორციელების ენაზე.
15.2.3 კომისიის წევრები სტუდენტს აფასებენ ინდივიდუალურად, სილაბუსში მოცემული შეფასების რუბრიკის მიხედვით.
15.2.4 კომისიის საბოლოო შეფასება აისახება ოქმში.

მუხლი 16. აღდგენით გამოცდაზე გასვლა

- 16.1 ზეპირი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში აღდგენით გამოცდაზე გასვლა ხდება წინამდებარე დებულების მე-11 მუხლით დადგენილი წესით.

- 16.2 ზეპირი გამოცდის აღდგენით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებებს სკოლის საბჭო.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

მუხლი 17. ზეპირი გამოცდის ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება, ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში

- 17.1 ზეპირი გამოცდის ნაშრომების შეფასება, შედეგების გამოცხადება და ნიშნების სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში შეყვანა ხდება წინამდებარე დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 18. ზეპირი გამოცდის შედეგის დაარქივება

- 18.1 ზეპირი გამოცდის შედეგის დაარქივება ხდება წინამდებარე დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

- 19.1 შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (R3), „სამაგისტრო სწავლების დებულებაში“ (R4), „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში“ (R5) და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების წესში“ (R17).

- 19.2 წინამდებარე წესში მოცემული ვადების დათვლისათვის:

- 19.3 ვადის გამოთვლა იწყება იმ კალენდარული თარიღის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი;

- 19.4 თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

- 19.5 წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1

- 19.6 გამოცდების ჩატარების წესის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.

მუხლი 20. ძალაში შესვლა

- 20.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მუხლი 21. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 21.1 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორის აპარატის მიერ.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #12.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

